



**დონებად დაყოფილი
ტექსტები -
მანასიათებლები და კლასში
მუშაობის ეფექტური
მეთოდები**

წიგნიერება

- **წიგნიერება** - შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც გააზრებულ კითხვას, ლოგიკურ და მკაფიო წერასა და კრიტიკულ აზროვნებას აერთიანებს.
- უფრო ღრმა გაგებით, წიგნიერება კომუნიკაციის ყველა ფორმის, მათ შორის სხეულის ენის, სურათების, გამოსახულებისა და ხმის (კითხვა, მეტყველება, მოსმენა და ხედვა) გაგება-გააზრებასა და კომპლექსურად გამოყენებას გულისხმობს.
- არის უწყვეტად განვითარებადი, ინტელექტუალური პროცესი, რომლის შედეგიც ბეჭდვითი მასალის შინაარსის ღრმა გააზრებაა.
- ამოსავალი წერტილია კითხვის უნარის განვითარებაა, რომელიც მოიცავს გარკვეული აზროვნებითი პროცესების ერთობლიობას – წარმოთქმული და დაწერილი სიტყვების დეკოდირებითა და გაგებით დაწყებული, ტექსტის სიღრმისეული აღქმით დამთავრებული.

საკითხავი ტექსტების ტიპოლოგიები



1. ფონეტიკური
2. დონეებად დაყოფილი/დაბალახსებული
3. სერიული;
4. საგანთან ინტეგრირებული საკითხავი წიგნები
5. ელექტრონული აუდიო წიგნები

ფონეტიკური ტექსტები - ამოცანები

- ასოს დეკოდირების პრობლემა,
- ბგერის დეკოდირების პრობლემა,
- ასო-ბგერის დეკოდირების პრობლემა,
- ასო-ბგერათა ჩანაცვლების პრობლემა;
- თანხმოვანკომპლექსები (აუსლაუტები)

ფონეტიკური - “ზატი” სიტყვების პრინციპით (მთლიანი მიდგომა)

“გ”

ეს თაგვია;

ეს მაგიდაა;

ეს გემია;

აქ გულია;

ეს გზა;

აქ წიგნია

ეს კარგი წიგნია

“ქ”

ქარია.

ქარი ქრის.

აქ მანქანაა

ეს მანქანა ტაქსია.

აქ ქალია.

ეს ქალი ქეთია.

ქეთი დირექტორია.

ეს ქეთის ქუდია.

ეს ქეთის ქოლგაა.

ქეთი თქვენი სკოლის

დირექტორია.

ქეთი მანქანას აჩერებს.

ქარი ქრის.

ცირკში

კატო და კოტე სკოლაში არიან. აკაკიც სკოლაშია. კატო კოტეს კლასელია. აკაკიც კატოს და კოტეს კლასელია. კატო, კოტე და აკაკი მესამე კლასში არიან. კატო, კოტე და აკაკი გაკვეთილზე არიან. კოტე კითხულობს. კოტე ხმამაღლა კითხულობს. კოტე კარგად კითხულობს. კოტე ახალ გაკვეთილს კითხულობს.

დღეს პარასკევია. კატო, კოტე და აკაკი კვირას ელიან. კვირას ისინი ცირკში მიდიან. კვირას ისინი ერთად მიდიან ცირკში. ცირკი ძალიან საინტერესოა. კატოს კლოუნი მოსწონს. კოტესაც მოსწონს კლოუნი. აკაკისაც მოსწონს კლოუნი. როდის მოვა კვირა!

კატო, კოტე და აკაკი მეგობრები არიან. ისინი ერთ კორპუსში ცხოვრობენ. ისინი ერთად აკეთებენ გაკვეთილებს. ისინი ერთად კითხულობენ. ისინი ერთად სადილობენ. ისინი ცირკში ერთად დადიან. ისინი კინოში ერთად დადიან. ისინი კონცერტზეც ერთად დადიან. ისინი კაფეშიც ერთად დადიან. ისინი კარგი მეგობრები არიან.

აი კვირაა. მეგობრები ცირკში მიდიან. მეგობრებს ცირკი მოსწონთ. მეგობრებს კლოუნი მოსწონთ. რა კარგია კვირა! რა კარგია ცირკი! რა კარგია მეგობრობა!

“მ-წ ბიძინას ძაღლი - ბადო

ბადო ბიძინას ძაღლია. ბიძინამ ბადო გაწვრთნა.

ბადო, წადი, ძვალი მოიტანე! - უძახის ბიძინა ბადოს. ბადო მიძუნძულებს, ძვალს პირს წაავლებს და ბიძინასთან მოძუნძულებს.

ბადო, წიგნი მოიტანე! - უძახის ბიძინა ბადოს. ბადო არ ინძრევა, წამოწოლილია. ბადო, წიგნი! - დაიძაბა ბიძინა. ბადო ოთახიდან იძურჩება. ბადო წიგნს პირს წაავლებს და ბიძინასთან მოაძუნძულებს. ძალიან გაიწაფა ბადო.

ბადოს წითელი ძეხვი ძალიან უყვარს. უხ, რა ძუნწია ბიძინა! პაწაწინა ძეხვის ნაწილს უწილადებს ბადოს. ეს პაწაწინა ძეხვი გააძლებს ბადოს? მაგრამ ძეხვი ძვირია. ბადო წუნია არ არის. ბადო ძვალიც ძალიან მოსწონს. ძიძგნის და ძიძგნის ბადო ძვალს.

სამი წლის წინ ბადომ ბიძინა გადაარჩინა. იმ დღეს ძალიან წვიმდა. ბიძინა ბიძის ქორწილში იყო. ბიძინა ძალიან დათვრა ქორწილში. ბიძინამ წამოდგა და თავისი წითელი მანქანისკენ წაიწია.

ბადო აწრიალდა, შეწუხდა. მიწას გაეკრა თათებით. არ ინძრევა ბადო. ბიძინას ბიძაც ძალიან შეწუხდა. ნუ წახვალ! გამოიძინე ბიძინა და ისე წადი! ბიძას ძალიან უნდა, რომ ბიძინამ გამოიძინოს. ბიძა წუხს. ახა ნასვამი სად უნდა წავიდეს ბიძინა? ბიძინა ბიძას გაუძალიანდა.

- წავალ ბიძაჩემო, წავალ! არ მეძინება. წასვლა მირჩევნია.

ბადომ ბიძინასკენ წაიწია. ბადო ბიძინას წვივში წვდა.

- გაიწი, ბადო!

- გაიწი მეთქი! - გაწიწმატდა ბიძინა.

ბადო წვივზე ჩამოეკონწიალა. ბადო გაუძალიანდა. ბიძინამ ძვრაც ვერ უყო. ბადო ძლიერია. ბადომ იცის, რომ ბიძინა წითელი მანქანით არ უნდა წავიდეს. ბიძინაც ძლიერია. ბიძინამ ბადოს წიხლი უთავაზა. ბადო მაინც ბიძინას წვივზეა ჩამოკონწიალებული. წვიმს. წვიმის წვითები წურწურით ჩამოსდის ბიძინას. ბადო ბიძინას წვივზეა ჩამოკონწიალებული. მაგრამ ბადო ბიძინას წვივს არ ტკენს. დაიღალა ბიძინა. დაიღალა ბადო. კარგი, არ წავალ - წამოცდა ბიძინას. ბადო არ ინძრევა. ბადო, არ წავალ! დავიძინებ! ბადო ბიძინას წარშეუხრელად უყურებს. ბადო ბიძინას ერთგული ძაღლია. ბადო ბიძინას ერთგული მეგობარია.

თანხმოვანთკომპლექსები:

ბს, ვს, ნს, რს აუსლაუტი (სიტყვის ბოლო)

მერაბი ყოველ დილას შვიდ საათზე იღვიძებს, საუზმობს, დავალებას კითხულობს, მერე იცვამს და სკოლაში მიდის. სკოლიდან 2 საათზე მოდის, სადილობს და გაკვეთილებს მეცადინეობს. 6 საათზე ეზოში ჩადის და თამაშობს.

საღამოს 9 საათზე ვახშმობს, იბანს და იძინებს.

დღეს დილიდან თოვს. მერაბი წევს ლოგინში და ძინავს. მერაბს მოსწონს გვიანობამდე ძილი. მერაბს არ უყვარს ადრე ადგომა. დღეს კვირაა. კვირას მერაბი არ წერს დავალებებს. მერაბს ხატვა უყვარს, ის კარგად ხატავს.

დონეებად დაყოფილი წიგნები



ზოგადი მახასიათებლები

- წიგნებისა და ნაბეჭდი მასალის მახასიათებლები, რომლებიც გვერდების სიგრძისა და თითოეულ გვერდზე სიტყვისა და წინადადებების მოცულობის კონტროლს გულისხმობს. ამ კრიტერიუმშია გაერთიანებული ასევე ბეჭდვის დიზაინი. მაგალითად, გვერდის თავი და ბოლო, პუნქტუაციის ტიპები, ილუსტრაციული მხარდაჭერა და ბეჭდვითი ნაწილისა და ილუსტრაციული მხარდაჭერის თანაფარდობა.
- შინაარსი, თემა და იდეა - კითხვის უნარის განვითარებასთან ერთად შინაარსი, თემატიკა და იდეები უფრო და უფრო კომპლექსური ხდება.
- ტექსტის სტრუქტურა და ჟანრი იმ მახასიათებლების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა სახითაა მასალა წარმოდგენილი. ეს შეიძლება იყოს ნარატიული (თხრობითი) ტექსტი, რომელიც მოთხრობის ფორმატითაა წარმოდგენილი და სიუჟეტის განვითარების საფეხურებს, მოქმედების ადგილს, პრობლემისა და მისი გადაწყვეტის ფორმებს აერთიანებს.
- ენობრივი და ლიტერატურული მახასიათებლები დონეებად დაყოფილი მასალის როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ ასპექტებს ასახავს და ავტორის ხედვას, შეხედულებებს, ლიტერატურულ ხერხებს (მაგ, ომონიმები, მეტაფორები), ენობრივ სტრუქტურებს (წინადადებების სტრუქტურა, პარაგრაფის წყობა), ლექსიკისა და სიტყვების არჩევანსა და მოცულობას (მაღალსიხშირული, მაღალშინაარსობრივი, ძირეული და წარმოქმნილი) აერთიანებს.

კითხვის ამოცანების მიმართულებები

1

- დეკოდირება/ფონეტიკური ამონაცემი

2

- ლექსიკური მარაგი

3

- გამართული კითხვა

4

- გააზრებული კითხვა

დონეზად დაყოფილი ტექსტების ფორმულა

- სიტყვათა სრული რაოდენობა;
- რთულ სიტყვათა რაოდენობა;
- მაღალსიხშირული სიტყვების რაოდენობა სიტყვათა მთლიან რაოდენობაში;
- მაღალსიხშირული სიტყვების თანაფარდობა სიტყვების მთლიან რაოდენობასთან;
- დაბალსიხშირული სიტყვების რიცხვი სიტყვათა მთლიან რაოდენობაში;
- დაბალსიხშირული სიტყვების თანაფარდობა სიტყვების მთლიან რაოდენობასთან;
- წინადადების სიგრძე;
- წინადადების სირთულე;
- ტექსტის პროგნოზირებადობა;
- ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურები და მათი განმეორების სიხშირე;
- სიტყვათა რაოდენობა თითოეულ გვერდზე;
- გაფორმება;
- კონცეპტუალური ჩარჩო;
- ნაცნობი თემატიკა;
- ტექსტის ჟანრი და სტრუქტურა.

დონეებად განლაგება (ნიმუშები)

მე-3 დონე: 3-8 სიტყვა თითო წინადადებაში, 5-6 სიტყვა საშუალოდ; 1-2 სტრიქონი თითო გვერდზე; 50-80 სიტყვა სულ; დასრულებული წინადადებები; მარტივი თანდებულები და შესავალი ნაწილი; მაქს. 2-3 მაღალსიხშირული ახალი სიტყვა ენობრივი სტრუქტურა შეიძლება განსხვავებული იყოს პირველ და ბოლო გვერდებზე; მაღალპროგნოზირებადი; მარტივი დიალოგები შესაძლებელია; ნაცნობი თემატიკა; თანამიმდევრული ტექსტური წყობა; სულ 8 გვერდი;

10 საფეხური:

250-320 სიტყვა სულ; 3-10 სტრიქონი თითო გვერდზე; 8 სიტყვა საშუალოდ წინადადებაში; წინადადების გართულებული ფორმა; მაღალსიხშირული სიტყვების უფრო იშვიათი განმეორება; სტრუქტურაზე ნაკლები დამოკიდებულება; განსაზღვრული ლექსიკა მოთხრობის ლექსიკის განმეორებითი მოხმარებით; ილუსტრაციებზე ნაკლები დამოკიდებულება; 12-14 გვერდი;

საფეხური 16:

920-1200 სიტყვა სულ; 9-11 სიტყვა საშუალოდ წინადადებაში; რთული წინადადებები; უფრო სტანდარტიზირებული ლექსიკონი; ილუსტრაციები მხოლოდ მნიშვნელობის გაძლიერებისთვის გამოიყენება; სარჩევი, მინაწერები, ინდექსი, ლექსიკონი (გლოსარი); ცხრილები და ჩარტები; გართულებული კონცეპტუალური ჩარჩო; 20-24 გვერდი;

ბებია ჩამოვიდა

დღეს ბებია ჩამოვიდა სოფლიდან.

მან სოფლიდან კალათი ჩამოიტანა. ბებიას კალათი მძიმეა.

კალათში ბევრი ხილია: ლეღვი, ატამი, მსხალი, ქლიავი, ყურძენი და ვაშლი.

ბებიამ კალათიდან ხილი ამოალაგა:

ჯერ ლეღვი ამოიღო,

შემდეგ ყურძენი ამოიღო,

შემდეგ ქლიავი ამოიღო,

შემდეგ ატამი ამოიღო,

შემდეგ მსხალი ამოიღო,


და ბოლოს, ბებიამ ვაშლი ამოიღო.

ახლა ბებიას კალათი ცარიელია.

ახლა ბებიას კალათი მსუბუქია.



სერიული ტექსტები



- საერთო გმირი/გმირები;
- მხატვრული ან შერეული ტექსტები;
- მეტი წილი დატვირთვა მოდის ტექსტების კონტექსტუალურ მხარეზე;
- საფეხურებად განლაგება მზარდი სირთულის პრინციპით
- ერთ ან რამდენიმე კონკრეტული ამოცანაზეა ორიენტირებული

კითხვის კვირეული სკოლაში

თაკო, თოკო და პაკო სკოლაში მიდიან. დღეს კითხვის კვირეულის პირველი დღეა. კითხვის კვირეულზე მოსწავლეებს მშობლები სხვადასხვა ცნობილ წიგნს წაუკითხავენ. დღეს თოკოს და თაკოს დედამ უნდა წაუკითხოს მოსწავლეებს წიგნი. თოკოს და თაკოს დედას ვიკა ჰქვია. თოკოს და თაკოს დედა ქართულის მასწავლებელია. თოკოს და თაკოს დედა ქართულს სხვა სკოლაში ასწავლის. თოკოს და თაკოს აინტერესებთ, რა წიგნს წაუკითხავთ დედა მათ და მათ თანაკლასელებს წიგნის კვირეულზე. პაკოც ეკითხება მეგობრებს:

- რა წიგნს წაგვიკითხავს ვიკა დეიდა დღეს?

- მართლა არ ვიცით,- პასუხობენ ტყუპები.

- დღეს წიგნს თოკოს და თაკოს დედა წაგვიკითხავს, ბავშვებო! -უთხრა მოსწავლეებს ანა მასწავლებელმა. ვიკამ მოსწავლეებს ასტრიდ ლინდგრენის „მიო, ჩემო მიო“ წაუკითხა. წიგნი პატარა ბიჭი ბოსეს შესახებ იყო. ბიჭის შესახებ, რომელსაც ჰგონია, რომ არავის უყვარს.

ვიკა დედას წაკითხული ძალიან მოეწონათ ბავშვებს. თაკოც და თოკოც კმაყოფილი იყვნენ დედის წაკითხული წიგნით.

კითხვის დონეები

- დამოუკიდებელი

1. კითხულობს სიტყვების 99-100% უშეცდომოდ
 2. კითხვის დროს აზრობრივი აქცენტები სწორადაა დასმული
 3. შინაარსის მოყოლისას, ძირითადი მასალა გადმოცემულია და სწორად არის ორგანიზებული
 4. მოვლენათა თანმიმდევრობა სწორია
 5. მოსწავლე აანალიზებს ტექსტის სტრუქტურას
- მოსწავლე ამბობს, რომ ტექსტი მარტივია*

კითხვის დონეები

• სასწავლო დონე

1. ამ დონეზე მოსწავლე მაქსიმალურად ვითარდება როგორც მკითხველი.
2. მოსწავლე გრძნობს გამოწვევას, მაგრამ არ არის ფრუსტრირებული.
3. მოსწავლე თავისუფალია სიძნელის შესამჩნევი სიმტომებისგან;
4. 95%-98% სიტყვების სწორად დეკოდირება, სიტყვათა 60-75% -ის გააზრება;
3. შინაარსის მოყოლისას, ძირითადი ფაბულა და შინაარსი ადმოცემულია;
4. ამ დონეზე მოსწავლეს შეუძლია კითხვის ახალია სტრატეგიები გამოიყენოს და განავითაროს.

მოსწავლე ამბობს, რომ ხვდება, რა ისწავლა ტექსტიდან. “ზოგი სიტყვა რთულია, მაგრამ მასწავლებლის დახმარების შემდეგ კითხვა მიაღვივლებს და საინტერესოა.”

კითხვის დონეები

- ფრუსტრაციული

1. მოსწავლეს არ შეუძლია დეკოდირება და გააზრება დახმარების ხარისხის მიუხედავად
2. მხოლოდ 40%-10% სიტყვების სწორად დეკოდირება და 50% გააზრება
3. მოყოლისას, მხოლოდ შინაარსს სრულად ვერ იხსენებს ან შემთხვევით, ფრაგმენტულად გადმოსცემს;
4. ლოგიკური თანმიმდევრობა მოყოლის დროს არ იგრძნობა;
5. მასწავლებლის კითხვებს ვერ პასუხობს;

მოსწავლე ამბობს: ეს ტექსტი ძალიან რთულია, ვერ ვიტან ამ ისტორიას!”

სიტყვათა მახასიათებლები

- “ხატი სიტყვები”
- საბაზისო სიტყვები
- ტრანზიტული სიტყვები. მაგალითისთვის: ყოველთვის, ხშირად, ძალიან, ყველა, თითოეული და ა.შ.
- ფონეტიკური ამოცანის მატარებელი სიტყვები;
- დარგობრივი სიტყვები;
- ომონიმები, იდიომატური სიტყვები და გამოთქმების შემადგენელი სიტყვები;

წინადადების მახასიათებლები

1. სიტყვების რაოდენობა წინადადებაში – სირთულე იქმნება უცხო სიტყვების არსებობის, სიტყვათაფორმის სირთულიდან, სპეციფიკური წყობიდან გამომდინარე
2. რთული და შედგენილი წინადადებები – აზრობრივი, კონცეფტუალური, კითხვის პრობლემები,
3. სტრუქტურული მახასიათებლების მატარებელი წინადადებები – მაგალითად, დიალოგები. წინადადებები ბრჭყალებში, ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვებით და წინადადების ნაწილებით, იდიომატური ფრაზებით.

პროგნოზირებადი ტექსტები

- ილუსტრაციული მხარდაჭერა (სურათები, გრაფიკული გამოსახულებები)
- კომულაციური თანმიმდევრობა (“თხამ შეჭამა ვენახი”)
- ნაცნობი თანმიმდევრობა (მაგ. კვირის დღეები, რიცხვები თანმიმდევრობით, ა.შ.)
- რეპეტიციული ხასიათის ფრაზები
- ერთგვაროვანი ენობრივი კონსტრუქციები
- რითმული და რიტმული სტიმულაციები
- მარტივი და ნაცნობი კონტექსტი

კონცეპტუალური ჩარჩო

1. კითხვის ადრეულ ეტაპზე იგი სიტყვის გამთლიანებისა და წინადადებებში შემავალი სიტყვების ერთიანობის გააზრებისთვის ხელშეწყობისთვის არის გამიზნული.
2. ტექსტის მონაკვეთის გააზრების, განვითარების, შემდეგ ეტაპზე მონაკვეთების ერთმანეთთან ლოგიკური შეკავშირებისა და, საბოლოო ჯამში კი, რთული ტექსტების კოჰერასიული აღქმის უნარის განვითარებით სრულდება.
3. მკითხველის უნარი შინაარსობრივი, ჟანრული და სტრუქტურული მაჩვენებლები ერთიანობაში აღიქვას;
4. საკუთარი აზრი ჩამოაყალიბოს;
5. ვარაუდები გამოთქვას და ემოციური დამოკიდებულება შეიქმნას;

კონცეპტუალური „გასაღებები“ პროგნოზირებულობა არაა, რადგან ეს უკანასკნელი არა მოსწავლის მხარდაჭერისთვის იგეგმება, არამედ გამოწვევის ფუნქციას ასრულებს და მოსწავლისათვის სირთულის გადალახვასთან დაკავშირებული მოტივაციის გამოსაწვევად გამოიყენება.

მასალია ამოცანა იმგვარი ინსტრუმენტების თანდათანობითი შემოტანა, რომლებიც მკითხველს უბიძგებს კონცეპტუალურად აღიქვას ტექსტი.

ჯანრობრივი მრავალფეროვნება

<p>არამხატვრული</p>	<p>ინფორმაციული, ალწერითი, კონცეფტუალური, ფაქტობრივ-ალწერითი, დარწმუნებითი, შემოქმედებითი, ბიოგრაფიული, ისტორიული, ინსტუქციული, მომხრე-საწინააღმდეგო კონცეფციის, ინფორმაციულ-ნარატიული,</p>
<p>მხატვრული</p>	<p>რეალური, პირდაპირი თხრობა, ფანტაზია, მხატვრულ-კონცეფციური, ისტორიული, ზღაპარი, თავგადასავალი, მისტიური, კრიმინალური, სამეცნიერო-მხატვრული, პოეტური.</p>

სტრუქტურა

1. სტრუქტურა ტექსტის შიდა ორგანიზების ინსტრუმენტია.
2. ტექსტის გაგება მკითხველის მიერ ვრცელი ორგანიზაციული სტრუქტურის ინტერპრეტაციის საშუალებით ხდება.
3. საშუალებას აძლევს მკითხველს გამოიცნოს, ახსნას, შეაჯამოს, დასვას კითხვები, დასახოს ამოცანები, განიხილოს და გააცნობიეროს ტექსტის ორგანიზება. ეს ყველაფერი ტექსტის ინფორმაციის გაცნობის დროს ხდება და, შესაბამისად, უზრუნველყოფს გააზრების უნარის განვითარებას.
4. აღქმა ინფორმაციულ, განმარტებით ტექსტებში უფრო მკაფიოა, ვიდრე ნარატიულ ტექსტებში.
 - აღწერის
 - ქრონოლოგიურ თანმიმდევრობის
 - მიზეზისა და შედეგის
 - პრობლემისა და მისი გადაჭრის
 - შედარებისა და კონტრასტის აღწერის
 - კლასიფიკაციისა და ანალიზის ფორმებით არის მოცემული.